პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 20 (1502) ○ სამშაბათი, 16 თებერვალი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ვილაპარაკოთ ფეხბურთზე...

ახლოვდება 1960 წლის საფეხბურთო სეზონი. ცოტა ხანიც, და დაიწყება „ა“ კლასის ოსტატთა გუნდების გრძელი და საინტერესო შეჯიბრება — საკავშირო ჩემპიონატი.

რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია გამოაქვეყნოს ფეხბურთის სპეციალისტების, მწვრთნელების, მსაჯების და გულშემატკივართა წერილები, რომლებიც ეხებიან დიდი ფეხბურთის პრობლემებს, ასახავენ ცალკეულ საკითხებს ამ თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის, მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების, წვრთნის მეთოდებისა და მსაჯთა ხელოვნების შესახებ.

ვფიქრობთ, რომ თუ მწვრთნელები, ფეხბურთელები, მსაჯები და სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ახალ განყოფილებაში — „ვილაპარაკოთ ფეხბურთზე“, ამით ისინი თავიანთ სასარგებლო წვლილს შეიტანენ საერთო საქმეში.

გუშინ რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგა საღამო, სადაც თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ბრინჯაოს ჟეტონები, რომლებიც მათ დაიმსახურეს გასული წლის საკავშირო პირველობაში მესამე ადგილის მოპოვებით.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ. სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციის კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა და ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის სახელით თბილისის დინამოელებს მიესალმა, ბრინჯაოს ჟეტონები და დიპლომები გადასცა ფედერაციის თავმჯდომარემ ვ. გრანატკინმა. დიპლომები მიიღეს აგრეთვე თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჟორდანიამ და ნ. ჩხატარაშვილმა.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა შ. შავგულიძემ, ბ. პაიჭაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ბადურაშვილმა, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, პოეტმა ი. ნონეშვილმა და სხვებმა.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

★

თბილისში მიმდინარეობს ზამთრის პირველობა მძლეოსნურ ოთხჭიდში.

* * *

სურათზე: სპორტის დამსახურებული ოსტატი, მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნ. დვალიშვილი სიგრძეზე ხტომის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

★



ტურნირი ლენინგრადში

14 თებერვალს გაიმართა მე-13 ტური. გაბედულად თამაშობდა ბრონშტეინი პეტროსიანის წინააღმდეგ, მაგრამ ცაიტნოტში მოხვდა, დაუშვა რამდენიმე შეცდომა და დანებდა. რთული პოზიცია შეიქმნა გურგენიძე-კორჩნოის პარტიაში, მაგრამ ქართველმა ოსტატმა მხედარი დაკარგა და 41-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ტაიმანოვმა პოლუგაევსკისთან პარტიაში კარგად გამოიყენა მეტოქის სუსტი თამაში და გაიმარჯვა. ნეიმ მოუგო სუეტინს, გუფელდმა — სპასკის. სმისლოვ-გელერის პარტია ყაიმით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ წინაა კორჩნოი 9,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: პეტროსიანი — 9 ქულა (12-დან), გელერი — 8,5, კროგიუსი — 7,5 (12-დან), ტაიმანოვი — 7,5 ქულა.

გუშინ მოხდა გადადებული პარტიების გათამაშება.

სურათზე: გელერ-გურგენიძის შეხვედრა.

დაძაბულ ბრძოლაში

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ზამთრის პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, უკრაინის, საქართველოსა და ესტონეთის გუნდები. შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შეხვდნენ მოსკოველ ჩოგბურთელებს და განიცადეს დამარცხება. ესტონელი სპორტსმენები გამარჯვებულნი გამოვიდნენ უკრაინის გუნდთან შეხვედრაში.

ფინალურ შეხვედრაში მოსკოვის გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა ესტონეთის კოლექტივი და მოიპოვა პირველი ადგილი.

საბჭოთა ჰოკეისტები ეწვივნენ ოლიმპიურ სოფელს

კანადაში ამხანაგური შეხვედრების ჩატარების შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავს ოლიმპიურ თამაშებზე, საწვრთნელ მატჩებს ატარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბჭოთა გუნდი წვრთნას გადიოდა ქალაქ კოლორადო-სპრინგსში, რომლის მდებარეობა და კლიმატური პირობები ბევრად წააგავს სკვო ველისას. ორი კვირის მანძილზე ჩვენმა სპორტსმენებმა ოთხი მატჩი ჩაატარეს აშშ-ს სტუდენტთა კლუბებთან, რომელთაგან მოიგეს სამი (10:2, 6:3, 9:7), ხოლო ერთი — დენვერის უნივერსიტეტის მეტად ძლიერ გუნდთან — დაამთავრეს ფრედ — 2:2.

საბჭოთა ჰოკეისტები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქალაქის მოსახლეობაში, ისინი რამდენჯერმე გამოიყვანეს რადიოთი და ტელევიზიით, მოუწყვეს შეხვედრები. გუნდის ყველა წევრი გამოცხადებულ იქნა კოლორადო-სპრინგსის საპატიო მოქალაქედ.

ამჟამად ჩვენმა სპორტსმენებმა დაამთავრეს წვრთნა კოლორადო-სპრინგსში, სკვო ველში ჩავიდნენ და დაბინავდნენ ოლიმპიურ სოფელში.

• • •

ქვემოთ ვაქვეყნებთ „თეთრ ოლიმპიადაში“ მონაწილე ჰოკეისტთა გუნდების კენჭისყრის შედეგებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მითითებით ჰოკეის საერთაშორისო ლიგის დირექტორმა გააუქმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის შედეგები, რომელიც გაიმართება სკვო ველში ზამთრის ოლიმპიური თამაშების პერიოდში. წრიული სისტემის ნაცვლად მატჩები ჩატარდება ქვეჯგუფებში. გათამაშებაში მონაწილე 9 გუნდი დაყოფილია 3 ქვეჯგუფად. **პირველ ქვეჯგუფში** მოხვდნენ: კანადა, შვეცია, იაპონია; **მეორეში** — სსრ კავშირი, ფინეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; **მესამეში** — ჩეხოსლოვაკია, აშშ, ავსტრალია.

შესაბამისად შეიცვალა გათამაშების კალენდარიც. 18 თებერვალს თამაშობენ კანადა — შვეცია, ჩეხოსლოვაკია — აშშ, სსრ კავშირი — გფრ. 19 თებერვალს: იაპონია — კანადა, ჩეხოსლოვაკია — ავსტრალია, ფინეთი — სსრ კავშირი; 20 თებერვალს: შვეცია — იაპონია, აშშ—ავსტრალია, გფრ— ფინეთი.

ფინალურ ჯგუფს შექმნიან თითეულ ქვეჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები. ფინალისტთა კენჭისყრა მოხდება სკვო ველში 20 თებერვალს.

ამერიკის რადიოსა და ტელეხედვის გაერთიანებამ ხელშეკრულება დაუდო 19 ქვეყანას, რომლებმაც უნდა აწარმოონ გადაცემები სკვო ველის თამაშებიდან. ესენია: ავსტრია, ინგლისი, არგენტინა, გდრ, გფრ, იტალია, კანადა, ნორვეგია, სსრ კავშირი, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ჩეხოსლოვაკია, ჩილი, შვეიცარია, შვეცია, სამხრეთ აფრიკის კავშირი და იაპონია.

ოლიმპიური ქრონიკა

ყველა წინა თამაშებზე წესად იყო მიღებული, რომ საინფორმაციო ბიულეტენები და ოფიციალური გადაცემები წარმოებდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე, აგრეთვე იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიც მიმდინარეობდა თამაშები.

სკვო ველში ჩამოსული კორესპონდენტები აღშფოთებით აღნიშნავენ, რომ ოფიციალური ინფორმაციების წარმოება აქ წარმოებს მხოლოდ ინგლისურ ენაზე ეს საკმაოდ ხელშემშლელია მათი მუშაობისათვის.

✦

მიმდინარეობს თბილისის საქალაქო შეჯიბრება ძალოსანთა შორის, რომელზეც სპორტის ოსტატმა ვ. რადიმაშვილმა აკრა 121 კილოგრამი წონის შტანგა და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა რ. გალოიანის მიერ დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი.

სურათზე: ფიცარნაგზეა ვ. რადიმაშვილი.

✦


ფართო გზა ტურიზმს!

აქ მთავარია მასობრიობა

ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი ბუნება, ისტორიულ ძეგლთა სიუხვე და თანამედროვე მშენებლობათა გიგანტურობა მაგნიტივით იზიდავს ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოელი ტურისტების მრავალათასიან არმიას. წლის ყოველ დროს ნახავთ საქართველოს შორეულ კუთხეებშიც-კი ზურგჩანთაწამოკიდებულ მოგზაურებს. სამწუხაროდ, მათ შორის იშვიათად შეხვდებით ადგილობრივ მოსახლეობას. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ტურიზმი ჩვენში ჯერ კიდევ პატივისცემით არ სარგებლობს.

საინტერესოა შემდეგი ციფრობრივი მონაცემი: საქართველოს ტურისტთა რესპუბლიკური სამმართველოს სხვადასხვა ბაზაზე 1959 წელს გაიარა 80 ათასმა კაცმა, რომელთა შორისაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი მხოლოდ 130 კაცია?!

რამ უნდა განავითაროს ჩვენში მასობრივი ტურიზმი, თუ მისი პოპულარიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება — ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება უკანასკნელად მხოლოდ 1955 წელს ჩატარდა და მას შემდეგ მის ჩასატარებლად აღარავის უფიქრია?

სად უნდა ვეძებოთ ასეთი არანორმალური მდგომარეობის სათავე? რასაკვირველია, ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის არაწესიერ მუშაობაში. ფედერაციის წევრები გადატვირთული არიან პირადი საქმეებით, ერთმანეთთან არა აქვთ კავშირი და საქმეც ამიტომ ფერხდება. რაიონებში მუშაობის გააქტიურების მიზნით ორი წლის წინათ ფედერაციამ გაანაწილა თავისი წევრები, მაგრამ ეს განაწილება ქალაქზე დარჩა და პერიფერიის ტურიზმის მოყვარულები დახმარების გარეშე აღმოჩნდნენ. გამონაკლისია სოხუმის ძლიერი სექცია, რომელიც ხშირად ატარებს უმაღლესი კატეგორიის სიძნელის ტურისტულ გადასვლებს და ძალაუნებურად უხდება კავშირი რესპუბლიკურ ფედერაციასთან მარშრუტების დასამტკიცებლად. ეს არის და ეს. სხვაგან ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. სამწუხაროდ, ფედერაციამ დღემდე არ იცის, თუ სად რამდენი სექციაა და რამდენი კაცია მათში გაერთიანებული.

ინსტრუქტორების მოსამზადებელი ერთადერთი რესპუბლიკური სემინარი ჩატარდა 1958 წელს, რომელშიც თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სტალინირის, ფასანაურის, მესტიის, ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ აქვე დაურიგდათ ტურიზმში ღონისძიებათა ჩატარებისა და სანორმატივო დებულებები, მაგრამ შემდეგში თუ რა გააკეთა ამ ხალხმა ადგილებზე არავის შეუმოწმებია. უფრო მეტიც. პრეზიდიუმის არც ერთ სხდომაზე არ არის განხილული პერიფერიებში არსებული რომელიმე სექციის ან ჯგუფის მუშაობის საკითხი.

ჩვენი რესპუბლიკის ტურისტთა სპორტული ჯგუფების მიერ ჩატარებული უმაღლესი კატეგორიის გადასვლები სამართლიანად აყენებს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ტურისტთა შორის, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამგვარ გადასვლებში ძირითადად მონაწილეობს ერთი და იგივე ხალხი, რაც სპორტული ოსტატობის პირადი ზრდითაა გამოწვეული და ახალი კადრების ჩაბმა — მასობრიობა სპორტულ ტურიზმში გვერდზე რჩება.

ასე მაგალითად, გასულ წელს ამ სამთო-სათხილამურო გადასვლებს წინ უსწრებდა უმაღლესი კატეგორიის ლაშქრობის ხელმძღვანელთა მოსამზადებელი საწვრთნელ-მეთოდური შეკრება. მას მერე საკმაო ხანმა განვლო და არცერთ მათგანს არ ჩაუტარებია დამოუკიდებელი გადასვლა ახალი ჯგუფით. ამ შეკრების მონაწილე ვ. ფანჯაკიძე შემდეგში აფხაზეთში გამართულ ტურისტულ ლაშქრობებშიც მონაწილეობდა, მაგრამ აქაც მხოლოდ საკუთარი ოსტატობის ამაღლებისათვის.

ფიზკულტურის ინსტიტუტშიც კი, რომელიც საქალაქო შეკრებებზე ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდის, მასობრიობის მხრივ არაფერი კეთდება და ამ მხრივ მასზე ბევრად წინ არის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი (სექციის ხელმძღვანელი დ. გელაძე), რომელშიც გასულ წელს 12 მესამეთანრიგოსანი და 91 „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანი მოემზადა. ოდესღაც კარგი ტრადიციები ჰქონდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მდგომარეობა გაუარესდა და გასული წლის საქალაქო შეკრებაზე მრავალათასიანი კოლექტივიდან ინსტიტუტში ორი გოგონაც კი ვერ აღმოაჩინეს, რომ შეჯიბრებაზე ერთი გუნდით მაინც გამოსულიყვნენ.

კარგად მუშაობს მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის ტურისტული სექცია (ხელმძღვანელი ლ. მხითარიანი და ა. იაცკევიჩი), რომელმაც მარშრუტების მრავალფეროვნებითა და სიუხვით უკან ჩამოიტოვა ისეთი ძლიერი კოლექტივი, როგორიც თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტია.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებს, რომელთა უმეტესობაშიც კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გარდა ქალაქგარეთ გასვლება ტურისტული სპორტული ფედერაციის დაუხმარებლობის გამო „საპურმარილო“ ხასიათს ატარებენ და არაფერი საერთო არა აქვთ შემოქმედებითს ტურიზმთან. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში უკვე მეორე წელია შეიქმნა ტურისტული სექცია, მაგრამ ამ თვითმოქმედი კოლექტივის შესახებ არც რესპუბლიკურმა და არც საქალაქო სექციამ არაფერი არ იცის.

სპორტის ეს შესანიშნავი სახეობა რატომღაც უგულებელყოფილია ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში. გარდა ამისა რესპუბლიკის ცენტრშიც კი დღემდე ვერ იქნა და ვერ დაარსდა ტურისტული კლუბი. უფრო მეტიც. ვერ გამოინახა ერთი ოთახი მაინც სადაც დამწყებ ტურისტს შეეძლება მისვლა და კონსულტაციის მიღება.

ტურიზმის მასობრივად განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ისიც, რომ მარშრუტებზე და სხვაგან თითქმის არსად არ არის მოწყობილი ღამის სათევი ქოხები. არ ქირავდება ინვენტარი. სწორედ ამიტომ ორ და მეტ დღიან ლაშქრობებში მონაწილეობა საკმაოდ შეზღუდულია.

საერთოდ, ტურიზმის ფედერაციას სჭირდება მტკიცე ხელი, რომელიც წესრიგში მოიყვანს რესპუბლიკის ტურისტულ სექციებს, თავის მუშაობაში ფართო ადგილს დაუთმობს მასობრივ ტურიზმს და აგრეთვე იზრუნებს სპორტული ტურიზმის ამაღლებისათვის.

გ. სამსონაძე

საფარიკაო ბილიკზე, საჭიდაო სარბიელზე

ძმები საპრიზო ადგილებზე

თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ინიციატივით სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ჩატარდა დედაქალაქის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი.

რაპირისტ ქალთა შორის კარგად დაიწყეს შეჯიბრება ახალგაზრდა მოფარიკავეებმა დ. ლორთქიფანიძემ და ლ. გელაძემ, რომლებიც ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ, მაგრამ იქ მათ „დეთი“ აღარ ეყოთ და უკანა რიგებში მოექცნენ.

მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა სპორტის ოსტატმა ჯ. გიორგაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც ერთადერთი დამარცხება განიცადა ლ. ფანჩვიძესთან — 3:4 და 7 გამარჯვებით პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ გ. გორდაძე და ლ. ფანჩვიძე (ორივე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან).

ვაჟთა შორის ამ იარაღით ბრძოლაში 6-6 გამარჯვება ჰქონდათ სპორტის ოსტატ ო. კიკალეიშვილსა და პირველთანრიგოსან თ. ზაუტაშვილს, რომელთა შეხვედრაში გაიმარჯვა ამ უკანასკნელმა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ფინალი დაშნით მოფარიკავეთა შორის, სადაც მოგებათა თანაბარი რაოდენობა (6) დააგროვეს ე. იობაძემ, რ. გოშაძემ და კ. გოგელიამ. დამატებით ბრძოლაში ე. იობაძემ წააგო ორივე შეხვედრა და დაიკავა მესამე ადგილი.

პირველი ადგილისათვის ბრძოლაში რ. გოშაძესა და კ. გოგელიას მიღებული ჰქონდათ 4-4 ჩხვლეტა, როცა ერთ-ერთი ფაზის დროს აპარატმა აღნიშნა ჩხვლეტა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. კ. გოგელიას უკვე განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი, მაგრამ მან კეთილშობილურად აღნიშნა, რომ ეს ჩხვლეტა საეჭვო იყო და ითხოვა ბრძოლის გაგრძელება, რაც მას შემდეგ წაგების ფასად დაუჯდა.

ესპადრონისტთა შეხვედრაში ნ. ასათიანმა დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილის გამოსარკვევად დაინიშნა დამატებითი ბრძოლა სპორტის ოსტატებს ა. და გ. გოგელიებს შორის. გ. გოგელიამ, რომელმაც ფინალში დამარცხება განიცადა თავის უმცროს ძმასთან, ამჯერად შეძლო რევანშის აღება (5:3) და მეორე ადგილზე გამოვიდა.

გ. სამანიშვილი

საკავშირო პირველობა

თბილისის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტდარბაზი კვლავ ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. აქ მიმდინარეობს „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 27 გუნდი. პირველობის მონაწილეთა შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია (1 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 29 სპორტის ოსტატი და 154 პირველთანრიგოსანი).

მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა კავშირისა და მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ნ. სოლოვიოვი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი ს. მირონოვი, საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი ე. ზუბკოვსკი, „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი და მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული ნ. იაკოვენკო და სხვები.

ორი დღის საინტერესო ბრძოლების შედეგად პირად ჩათვლაში კარგ შანსებს ინარჩუნებენ უმჩატეს წონაში — მოსკოველი მ. ბატოვი, მჩატე წონაში — აზერბაიჯანელი ვ. მიხტი და თბილისელი ო. მელაშვილი, რომლებსაც 4-4 მოგება აქვთ, ქვემსუბუქ წონაში — ლენინგრადელი ი. აფანასიევი და ესტონელი ჰ. ვაჰტნა, მსუბუქ წონაში — ლუგანსკელი სპორტის ოსტატი ე. ზუბკოვსკი, ქვესაშუალო წონაში — კემეროველი ვ. იგნატევი, საშუალო წონაში წინ არის ჩელიაბინსკელი პირველთანრიგოსანი ს. კარპუშკინი, რომელმაც 4 მოწინააღმდეგე დაამარცხა. მათ შორის ლენინგრადელი სპორტის ოსტატი სარსადსკი. ქვემძიმე და მძიმე წონაში 4-4 მოგებით ლიდერობას ინარჩუნებენ სპორტის ოსტატები მოსკოველი ვ. ბორისოვი და ლენინგრადელი ა. შუროვი.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერთა შორის არიან ლენინგრადისა და საქართველოს მოჭიდავეები.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. ბარნოვი

ჩემპიონები გამოვლინდნენ

ბათუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

უმჩატეს წონაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკის“ წევრმა დ. დავითაიამ, რომელმაც უკან მოიტოვა თავისი თანაკლუბელი ჯ. ძნელაძე და განთიადელი ა. ბასილაშვილი. მჩატე წონაში კარგად ჩაატარა შეხვედრები ოსტატმა თ. ტუხაშვილმა (თბილისი, „ბურევესტნიკი“) ამ წონაში თავი გამოიჩინა აგრეთვე ქუთაისელმა ა. ბიტკაშმა, რომელმაც თბილისელ ი. ქიჩიკიანთან ბრძოლაში შეძლო მეორე ადგილის დაკავება.

შეხვედრები ქვემსუბუქ წონაში აღინიშნა თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლის ზ. უგრეხელიძის გამარჯვებით. მომდევნო ადგილებზე არიან ა. ნეცუბიძე (ქუთაისი, „დინამო“) და ო. სუხიაშვილი (თბილისი, „განთიადი“). გამოცდილმა ოსტატმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა რ. ძნელაძემ (თბილისი, „დინამო“) გამარჯვება მოიპოვა მსუბუქ წონაში, სადაც შემდგომ ადგილებზე არიან ი. ასლანოვი (თბილისი, სკეო) და ო. თარგამაძე (ბათუმი, „დინამო“).

ქვესაშუალო წონაში აშკარა იყო თბილისელი ა. ქორიძის ტექნიკური და ფიზიკური უპირატესობა, მაგრამ მას ღირსეული მეტოქეობა გაუწია ქუთაისელმა ჯ. დათუსანმა. მათი საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ქორიძის გამარჯვებით. ამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილზეა ქუთაისელი მ. საკანდელიძე. საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი მოჭიდავე ზ. ჭითავა, ხოლო მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ტ. კარიპაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) და ნ. ჰანუყაძე (ბათუმი, „განთიადი“).

ქვემძიმე წონაში თავი გამოიჩინა სამგორის „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ო. ალავიძემ, რომელმაც დაამარცხა ორი ოსტატი — შენგელია და აველტიქოვი. ო. ალავიძე გამოვიდა მეორე ადგილზე, ხოლო პირველზე — ა. გველესიანი (თბილისი, „ბურევესტნიკი“). მძიმე წონაში მონაწილეობდა სულ სამი მოჭიდავე, მათ შორის ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: ა. ხაბეიშვილი, ვ. ლიანცევი (თბილისი, „დინამო“) და ო. ყაჭეიშვილი (ბათუმი, „დინამო“).

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ნორჩ მოკრივეთა ასპარეზობა

სოხუმში მოეწყო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური შეჯიბრება კრივში მოზარდთა შორის, სადაც მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, თელავის და ა. შ. 45 უძლიერესი ჭაბუკი მოკრივე. პირველ ორ დღეს ჩატარდა წინასწარი შეხვედრები, ხოლო მესამე დღეს — ფინალი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: თ. კულიევი (თბილისი), ი. პოპანდოპულო (სოხუმი), ს. აროიანი, ა. ურუმიანი, ა. ხამიანცი (სამივე—ბათუმი), რ. კაპანაძე (ქუთაისი), ვ. ჩერკაშინი (სოხუმი), ნ. ტიჩკოვი (თბილისი). მძიმე წონაში ფინალური შეხვედრის ორივე მონაწილე — თელაველი ბ. ფროლოვი და სოხუმელი ნ. სოფიანიდი — მოხსნილ იქნა დაბალი ტექნიკური მომზადების გამო.

მისასალმებელია თელაველ მოკრივეთა რინგზე გამოჩენა, მაგრამ მათ კიდევ დიდი მუშაობა მართებთ ტექნიკის დაუფლებისათვის. იგივე ითქმის ზოგიერთი ბათუმელი და სოხუმელი მოკრივის მიმართაც.

ვ. სემიონოვი

ვილაპარაკოთ ფეხბურთზე

რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოების, სასწავლებლების, დაწესებულებათა მუშაკები მეგობრულ სალამოებს უწყობენ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელებს.

განსაკუთრებით გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა საღამო, სადაც თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ექიმთა კოლექტივმა თავისთან მოიწვია „დინამოს" ფეხბურთელები.

* * *

სურათზე: „დინამოს" ფეხბურთელები თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ექიმებს შორის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მსაჯთა ახალი კადრები

თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების საბჭომ მოაწყო სემინარი ფეხბურთის მსაჯთა ახალი კადრების მოსამზადებლად. ქალაქის სხვადასხვა ფიზკულტურული კოლექტივების 80-ზე მეტმა წარმომადგენელმა გაიარა სემინარის როგორც თეორიული ნაწილი, ისე პრაქტიკული მსაჯობა.

მსმენელთა რიცხვიდან დაკომპლექტებულია მსაჯთა ჯგუფები ქარხნებში, დაწესებულებებსა და უწყებებში, რაც ამ ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს ჩაატარონ შეჯიბრებები საკუთარი კვალიფიციური ძალებით. მსაჯთა კოლეგიის საქალაქო პრეზიდიუმმა, აგრეთვე გამოცდილმა მსაჯებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ახალგაზრდა კადრებს, რათა მათი რიცხვიდან აღიზარდონ აქტიური, პერსპექტიული მსაჯები.

ახალგაზრდა მსაჯთა მომზადების პარალელურად სემინარზე წარმოებდა ადრე მომზადებულ მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც უნდა მოემსახურონ საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შეჯიბრების წესების ერთიან გაგებასა და მეთოდიკას, მსაჯთა ფიზიკური მომზადების ამაღლებასა და სხვ.

საერთო ფიზიკური მომზადების დონის ასამაღლებლად მოეწყო სპეციალური ნორმატივების ჩაბარება. გარდა ამისა, მსაჯთა რიცხვიდან ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდები, რომელთა შორის მოეწყობა შეჯიბრებანი. ეს დიდ დახმარებას გაუწევს მსაჯებს საერთო კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღვზარდოთ ოსტატების შესაფერისი ცვლა

დ. ცომაია

საქართველოს სსრ მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებისა და მწვრთნელთა წინაშე დგას უაღრესად სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანა: საჭიროა აღიზარდოს შესაფერისი ცვლა ოსტატთა გუნდებისათვის, საჭიროა ავამაღლოთ ქართული ფეხბურთის კლასი.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა უშუალოდ დაკავშირებულია რესპუბლიკაში მასობრივი ფეხბურთის განვითარებასთან, დამოკიდებულია სისტემატური სრულწლიანი სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის წარმოებაზე ფიზკულტურულ კოლექტივებსა და განსაკუთრებით მოზარდთა და ბავშვთა გუნდებში.

გასული წლის ყველაზე მასობრივ შეჯიბრებას ჩვენში წარმოადგენდა რესპუბლიკის პირველობა, სადაც 120 გუნდი მონაწილეობდა. გათამაშება გრძელდებოდა 9 თვის მანძილზე. ასეთი მაშტაბისა და ხანგრძლივობის ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობისათვის საჭიროა არა მხოლოდ ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებული მოთამაშეების ყოლა. საჭიროა აგრეთვე სრულუფლებიანი რეზერვების მაქსიმუმი, რომლის გამოყენება შესაძლებელია გუნდისათვის ზიანის მიყენების გარეშე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს თავიანთ შემადგენლობაში არა ჰყავდათ თანაბარი სიძლიერის ფეხბურთელები და არც მათი შემცვლელი რეზერვები.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკურ გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა რუსთავის „მეტალურგმა" (მწვრთნელი რ. მახარაძე) და წელს იგი მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაზე „ბ" კლასის გუნდებს შორის. ეს გარემოება სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს არა მარტო გუნდს, არამედ ქ. რუსთავის მთელ სპორტულ საზოგადოებრიობას.

გამოიჩინეს თავი მახარაძისა და ქობულეთის კოლმეურნე ფეხბურთელებმა, ქ. ბათუმის გუნდმა, გაგრისა და სამტრედიის კოლექტივებმა, სადაც აღიზარდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც ამჟამად თბილისის „დინამოში" არიან. ესენია: რ. კვასხვაძე (ბათუმი), ა. სიამაშვილი და გ. ზურაბაშვილი (მახარაძე), ლ. ფირცხალავა (სამტრედია), ვ. ჩხარტიშვილი (ქობულეთი), გ. სიჭინავა (გაგრა) და სხვ.

აღნიშვნის ღირსნი არიან აგრეთვე ზუგდიდის „ოდიში" (მწვრთნელი ბ. ჩიტაია), გორის „ტექსტილშჩიკი" (მწვრთნელი ლ. ლოლაძე), თბილისის სამო I (მწვრთნელი კ. ლოგინოვი), ადიგენის მტს-ი (მწვრთნელი ვ. ჭოროხაძე), თბილისის ფეხს. ფაბრიკის გუნდი (მწვრთნელი ო. უშვერიძე) და სხვანი.

გასულ წლებთან შედარებით ჩვენს გუნდებში რამდენადმე გაუმჯობესდა სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის დონე, რასაც ამტკიცებს კვალიფიციური ფეხბურთელების რაოდენობრივი ზრდა, მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით არასაკმაო მაშტაბით ხდება და სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს.

ფაქტია, რომ ჩვენი გუნდების მწვრთნელები და ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მოთამაშეთა კლასის სრულყოფაზე და ავადმყოფურად არიან გატაცებული ქულების მოგროვებით სხვადასხვა შეჯიბრებებში. ასეთი ამოცანის დასახვა არავითარ შემთხვევაში არაა სწორი. საილუსტრაციოდ შეიძლება მეტად მრავლისმეტყველი მაგალითების მოყვანა. ყოფილ 35-ე სკოლაში (თბილისი) აღიზარდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ზ. კალოევი, შ. იამანიძე, მ. მესხი, ა. და ხ. კოტრიკაძეები და სხვანი. თბილისის „ნორჩ დინამოელში" დაიწყეს თამაში თ. მელაშვილმა და სხვებმა, რომლებიც სახელოვნად იცავენ ქართული ფეხბურთის პრესტიჟს, როგორც საკავშირო შეჯიბრებებში, ისე საზღვარგარეთაც. მაგრამ ეს იყო წარსულში. ამჟამად თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლაში, „ნორჩ დინამოელში", „შრ. რეზერვებში", ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში მუშაობენ კვალიფიციური, საუკეთესო მწვრთნელები, მათ ნორმალური პირობები გააჩნიათ ახალი ოსტატების, ნამდვილი მაღალხარისხოვანი რეზერვების აღსაზრდელად, მაგრამ ფაქტიურად კი შესაფერისი ცვლა აქედან აღარ მოდის. გაუგებარია, რა უშლით ხელს მწვრთნელებს კვლავაც აღზარდონ პირველხარისხოვანი ოსტატები?

სადაო და საკამათო არაფერია იმაში, რომ თბილისში ვერ ზრდიან მაღალი კლასის ფეხბურთელებს და მათ მოსამზადებლად ოსტატთა გუნდების მწვრთნელებს პერიფერიაში უხდებათ სიარული. დედაქალაქში რამდენიმე ათეული ფასიანი მწვრთნელი მუშაობს ფეხბურთში, ხოლო ნიჭიერი ფეხბურთელები კი თითზე ჩამოსათვლელიც არაა.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა გუნდებმა, ოსტატთა კოლექტივებთან არსებულმა გუნდებმა არასახარბიელო შედეგებით დაამთავრეს საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებანი, რაც ნათლად მეტყველებს აქ წარმოებული მუშაობის დაბალ დონეზე.

ამ რამდენიმე ხნის წინ რესპუბლიკის რაიონებში შერჩეულ იქნენ ნიჭიერი მოთამაშეები თბილისის „დინამოს" რიგების შესავსებად, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ასეთ მოთამაშეებში დიდ ნაკლებობას განიცდიან თვით ეს რაიონებიც, სადაც გაცილებით უარესი პირობებია, ვიდრე თბილისში.

როგორც დედაქალაქში, ისე რაიონებშიც იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები ბავშვთა და მოზარდთა მონაწილეობით. რატომღაც წესად დაკანონდა, რომ ბავშვებთან მუშაობას ანდობენ მწვრთნელებს, რომლებსაც საამისოდ არც გამოცდილება აქვთ, არც ცოდნა და არც უნარი. ვიმეორებთ, რომ ესაა მავნე პრაქტიკა, როცა ოსტატთა გუნდებისათვის ცვლას ვეძებთ მხოლოდ რაიონებში და თბილისს, სადაც ძირითადად თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო ძალები, არ ძალუძს შევსება მისცეს თავისივე გუნდს. ურიგო არ იქნება, თუ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია იზრუნებს იმაზე, რომ ჩვენი საუკეთესო მწვრთნელები რამდენიმე წლით გაიგზავნონ რაიონებში შესაფერისი საქმიანობის გასაწევად. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის შესანიშნავი კლიმატური პირობები და ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი რესურსები, რომლებიც ჩვენ გაგვაჩნია. ჩვენი გუნდების მწვრთნელებმა და ხელმძღვანელებმა დაუზარებლად, დღენიადაგ უნდა იფიქრონ იმაზე, რომ გამოიმუშაონ პერსპექტიული ფეხბურთელები, აღზარდონ ისინი, აწარმოონ თავიანთ გუნდებში სისტემატური, მიზანდასახული წვრთნა.

ტექნიკა, თამაშის ეს სერიოზული და მნიშვნელოვანი ელემენტი, ჯერ კიდევ სუსტად აქვს ათვისებული ჩვენს მოთამაშეთა უმრავლესობას. იშვიათად შეხვდებით ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელიც დახვეწილად ფლობდეს რთულ ტექნიკურ ილეთებს. უამისოდ კი დღევანდელ ფეხბურთში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელი საქმეა. მწვრთნელმა უნდა შეაყვაროს მოთამაშეს ბურთი, უნდა მიაღწიოს, რომ ფეხბურთელს არ ეზარებოდეს წვრთნა ბურთით, რომ მას ეხალისებოდეს ვარჯიში, ეხალისებოდეს დაუღალავი წვრთნა თავისუფალ დროსაც კი. გარდა ამისა, მწვრთნელმა ფეხბურთელში უნდა გამოიმუშაოს სისწრაფე, ძალა, გამძლეობა, ხასიათის სიმტკიცე, ბრძოლის უნარიანობა და, რა თქმა უნდა, ღრმა ტაქტიკური აზროვნება. ურთულეს სიტუაციაშიც კი ფეხბურთელს უნდა შეეძლოს დაუყოვნებლივ მოძებნოს ყველაზე ეფექტური და სწრაფი გადაწყვეტა, იმოქმედოს ზუსტად ისე, როგორც ამას მოითხოვს შექმნილი მდგომარეობა.

აი ასეთი ფეხბურთელების აღზრდა არის დიდი სახელისა და პატივის, ნამდვილი პატრიოტული საქმე და არა ის, რომ გუნდის მწვრთნელი ან ხელმძღვანელი ფიქრობდეს მეექვსე ადგილზე გასვლას მერვე ადგილის ნაცვლად.

განა დასამალია ის გარემოება, რომ ზამთრის პერიოდში ვარჯიში ფაქტიურად მიტოვებულია? როდის, თუ არა მაშინ, უნდა იზრუნოს ფეხბურთელმა ინდივიდუალური ტექნიკის ამაღლებაზე. ნურვინ იფიქრებს, რომ ჩვენს ძველ გამოჩენილ ოსტატებს — ა. ჟორდანიას, შ. შავგულიძეს, ბ. პაიჭაძეს, გ. ჯეჯელავას, ა. კიკნაძეს, ვ. პანიუკოვს, გ. გაგუას, გ. ანთაძეს, ნ. ძაძამიძესა და სხვებს თავიდანვე დაჰყვათ რაღაც ზეადამიანური ნიჭი. არა. ისინი ყოველთვის პოულობდნენ დროს სავარჯიშოდ, რათა ამაღლებინათ თავიანთი ოსტატობა.

კვალიფიციური ფეხბურთელის მომზადებაში უდიდეს როლს თამაშობს მწვრთნელის შემოქმედებითი ინიციატივა, ცოდნა და გამოცდილება. მწვრთნელის საქმიანობა, მისი ღირსება უპირველეს ყოვლისა უნდა შევაფასოთ მაღალხარისხოვანი ფეხბურთელების აღზრდით და არა სატურნირო შედეგებით. მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენ „ბ" კლასში უკვე ხუთი გუნდი გვყავს. მათთვის საჭიროა სრულუფლებიანი შევსება.

და თუ ეს ასეა, მხოლოდ მადლობის ღირსნი არიან მწვრთნელები ა. ხურციძე (მახარაძე), ნ. კეშელავა (ბათუმი), რ. შარტავა (გაგრა), ა. გიგილაშვილი (სამტრედია), ტ. ეპიტაშვილი (ქობულეთი) და სხვანი.

უბრალო მაყურებელთათვისაც ცხადია, რომ ჩვენი რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდები სუსტად გამოიყურებიან ტაქტიკის მხრივ. მწვრთნელები მოსაწყენი ერთფეროვნებით ატარებენ ტაქტიკურ მეცადინეობებს ან სულაც არ ატარებენ მათ. ამით ისინი დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ფეხბურთს.

არაერთხელ ითქვა და კიდევ უნდა გაესვას ხაზი აღმზრდელობით მუშაობას. დისციპლინა — ეს ჯერ კიდევ „აქილევსის ქუსლია" ჩვენს სინამდვილეში. უმსგავსობანი [illegible] უნდა აღმოიფხვრას რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კომისიამ და თბილისის მწვრთნელთა საქალაქო საბჭომ მეტი მონდომებითა და უნარით უნდა უხელმძღვანელონ გუნდების მწვრთნელებს. საქართველოს საფეხბურთო ფედერაციამ და თბილისის სექციამ საჭიროა მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, უფრო ქმედითად უხელმძღვანელონ საფეხბურთო ცხოვრებას.

საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთს, ვინაიდან ესაა ჩვენი ხვალინდელი დღე და იმედი, შესაბამისად უნდა გაუმჯობესდეს მსაჯთა კოლეგიების მუშაობაც, ვინაიდან არც მატჩების მომსახურების მხრივ გვაქვს ჯერ კიდევ ყველაფერი წესრიგში.

ახალ საფეხბურთო სეზონში დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული. თბილისის „დინამოს" მიერ გასულ წელს მოპოვებული წარმატებანი წელს კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ. დიდი ფეხბურთის რეზერვების აღზრდა—ეს არის ჩვენი ყველაზე კეთილშობილური ამოცანა.

წესრიგისა და მონოლითურობის აღდგენისათვის

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა მიმდინარე სპორტული სეზონი უჩვეულოდ სუსტად დაიწყო: არადამაკმაყოფილებელი იყო მისი დებიუტი ევროპის ჩემპიონთა თასზე ქალაქ ბუქარესტში და უკიდურესად სამარცხვინო — საბჭოთა კავშირის პირველობის ბაქოს ტურის შედეგები. 4 შეხვედრიდან — 2 წაგებული მატჩი, ამასთან ერთი კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივთან—დიდი განსხვავებით (27 ქულით) თავისთავად არ საჭიროებს კომენტარებს. ამ საკითხის გამორკვევასა და მიზეზების გამომზეურებას მოანდომა თავისი სპეციალური სხდომა 12 თებერვალს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკური კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა. და უნდა ითქვას, რომ დღის სინათლეზე ამოტივტივდა ბევრი რამ ისეთი, რაც უწინ მხოლოდ ყურმოკრული ლაპარაკის საგანი იყო.

ინფორმაცია გუნდის მდგომარეობის შესახებ გააკეთა გუნდის მწვრთნელმა გ. ავალიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე გ. მეუნარგია, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სამსონაძე და თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ილაპარაკეს თვით კალათბურთელებმაც. ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმო იქნა ნათქვამი აღნიშნულ სხდომაზე და ჩვენი მიზანია მკითხველები საქმის კურსში ჩავაყენოთ.

თბილისის „დინამომ“ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად დაკარგა ის საბრძოლო თვისებები, რომელთა წყალობითაც იგი დამსახურებული წარმატებებით სარგებლობდა. მას შემდეგ, რაც გუნდს გამოაკლდნენ ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია და ძველი „გვარდიის“ სხვა წარმომადგენლები, „დინამომ“ ფაქტიურად დათმო პოზიციები. სამგზის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, უკანასკნელ ხანებში ვერც ერთ სერიოზულ გამარჯვებას ვერ მიაღწია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გასული წლის ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში დაკავებულ პირველ ადგილს. მაგრამ ხომ კარგად ვიცით, რომ აღნიშნულ პირველობაში მთელი რიგი წამყვანი გუნდები შესუსტებული შემადგენლობით გამოდიოდნენ? ასე, რომ არც შარშანდელი გამარჯვებაა მთლიანად სრულფასოვანი.

რა არის ამის მიზეზი? პირველ რიგში მოთამაშეთა უდისციპლინობა, რაც ყველაზე აშკარად თავს იჩენდა სასწავლო-საწვრთნელ პროცესში და რომელიც შემდეგ დაღად დააჩნდა კალენდარულ შეხვედრებს. არავითარი დღის რეჟიმი. ვარჯიში წარმოებდა მხოლოდ ვალის მოხდის და ხელმძღვანელობის მოტყუების მიზნით. არც ერთი სპორტსმენი სერიოზულად არ მუშაობდა საკუთარ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

აი, მაგალითად, ვ. უგრეხელიძე. იგი პერსპექტივიანი ახალგაზრდაა, მაგრამ შესამჩნევად უჭირს დაცვის ფუნქციების შესრულება. სხდომაზე მან პირდაპირ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სხვებს დაცვის წარმოებაში და რომ ვარჯიშისას იგი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ უგრეხელიძეს არ შეეძლოს ამ ნაკლის გამოსწორება. უბრალოდ, საჭიროა უკეთესად ვასწავლოთ მას და მკაცრად მოვთხოვოთ კიდეც.

რამდენიმე წლის წინ გ. აბაშიძეს ფენომენალური მონაცემების მქონე კალათბურთელად თვლიდნენ, თუმცა დისციპლინის მხრივ იგი ბევრს ვერ დაიკვეხნიდა. გ. აბაშიძე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც კი შეიყვანეს იმ ანგარიშით, რომ გონს მოვა და გამოსწორდებაო. საბოლოოდ რა გამოვიდა? არაფერი. თავისი ახალგაზრდობის შესანიშნავ წლებს იგი სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ატარებს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ფიქრობს საკუთარი თავის წესრიგში მოყვანაზე და ჩამოყალიბებაზე, ამაში ბრალი მიუძღვის „დინამოს“ ხელმძღვანელობასაც, რომელიც წლების მანძილზე ხელს აფარებდა სპორტსმენის საქციელს, ჯეროვნად არ ზრუნავდა მის აღზრდაზე.

მაგალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლება. ი. ხაზარაძე, ლ. მოსეშვილი, ა. ლეჟავა, ვ. ალტაბაევი, რ. გოგელია ახალგაზრდა კალათბურთელები არიან, რომლებსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლო, სავარჯიშო, მაგრამ, როგორც ჩანს, ვარჯიში ყველა დინამოელს თავისებურად ესმის და სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი მათგანი ძალზე ნელი ტემპით იზრდება. აი, მაგალითად, წლების მანძილზე დინამოელთა შემადგენლობაში ვხედავთ მ. ასიტაშვილს, რომელმაც ვერ იქნა და ვერ აიმაღლა თავისი ოსტატობის დონე.

ამბობენ, უკანასკნელ ხანებში ჩვენმა გუნდმა დაკარგა ტემპი — ან, უფრო სწორედ — თავისი ერთ-ერთი საბრძოლო იარაღი. სწორია. თითქმის დავიწყებას მიეცა დინამოელთა გრიგალისებური იერიშები, თვალშეუვლები სისწრაფე, დაუცხრომელი ტემპი, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. ამის მიზეზი მოთამაშეთა არასაკმარისი ფიზიკური მომზადებაა. მხოლოდ სწორად ჩამოყალიბებული დღის რეჟიმი (სადაც თავის ადგილზე იქნება დილის გამამხნევებელი დაჭურვაც, ვარჯიშიც, აქტიური დასვენებაც) იძლევა საჭირო ფიზიკური მომზადების ხარისხს.

კალათბურთელთა გუნდი პირველ რიგში წარმოადგენს ერთიან ანსამბლს, სადაც ყველა ხაზი, ყველა რგოლი მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთს დაკავშირებული. სამწუხაროდ, „დინამოს“ ანსამბლში არ იგრძნობა კოლეგიალობა და ეს მისი სამარცხვინო ლაქაა ყველა წევრისათვის. რა უნდა ჰქონდეს დინამოელებს ერთმანეთში გასაყოფი ან საკინკლაო, ან რატომ უნდა იყოს გუნდში დაჯგუფებები? დროა განიმუხტოს ატმოსფერო, დროა მინაშვილმა, ინწკირველმა, აბაშიძემ, კილაძემ, ხაზარაძემ, უგრეხელიძემ და სხვებმა შეიგნონ, რომ ასეთი საქციელისათვის მათ სასტიკი პასუხი მოეთხოვებათ.

ყველაფერ ზემოთქმულს აქვს თავისი ამოსავალი წერტილი და იგი გუნდის სუსტ ხელმძღვანელობაში მდგომარეობს. რამდენი ხანია თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობს გ. ავალიშვილი, რომელსაც არც ერთხელ გადამწყვეტი დასკვნა არ გამოუტანია მოთამაშეთა საქციელიდან. ამის საბაბი კი მას ბევრჯერ ჰქონდა. წლების მანძილზე დინამოელთა დისციპლინაში ღვივდებოდა მავნე ბაცილა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს საგანგაშო მდგომარეობამდე მოგვიყვანა. მწვრთნელი ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავდა.

საკმაოდ უცნაური ადგილი უჭირავს „დინამოს“ გუნდის კაპიტანს — ა. კილაძეს. არც ერთი შენიშვნა თავის კოლეგებს, არც ერთი მითითება, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყოს. ასეთი უხერხემლობა არც ერთ კაპიტანს არა ჰქონია გუნდში. იგი თითქოს განზე დგას კოლექტივის ინტერესებისაგან და მეთოდურად ინარჩუნებს ჩაურევლობის პოლიტიკას. უკიდურეს ლიბერალობას იჩენდა აგრეთვე „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა. ვინ, ვინ და სწორედ იგი უნდა იყოს პირველ რიგში ყველა უდისციპლინობათა საქმის კურსში. მაგრამ „დინამოს“ საბჭომ ნაკლები მომთხოვნელობა გამოიჩინა თავისი გუნდისა და ხელმძღვანელობის მიმართ და საბოლოოდ ხავალალო ფაქტის წინაშე აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნული საკითხის გარშემო სპორტკავშირის პრეზიდიუმმა იმსჯელა და სათანადოდ მიუთითა როგორც გუნდის წევრებს, ისე მათ ხელმძღვანელობას. გუნდის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით „დინამოს“ დროებით მიამაგრა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. კეკელიძე.

სტენლი მეტიუზი—მომავალი ჩემპიონი ჩოგბურთში

დიდი ბრიტანეთის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში ამას წინათ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია სპორტის ამ სფეროში მანამდე უცნობმა სტენლი მეტიუზმა. ფინალურ შეხვედრებში იგი არავისთან არ დამარცხებულა მასზე 3 წლით უფროს დ. მარტენის გარდა. სტენლი მეტიუზი დაუყოვნებლივ იქნა შეყვანილი დიდი ბრიტანეთის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდში, რომელიც იბრძოლებს დევისის თასისათვის.

ჩოგბურთელ სტენლი მეტიუზის სახელის ირგვლივ ინგლისში ატეხილ ხმაურში მცირეოდენი გარკვევაა საჭირო. საქმე ისაა, რომ იგი არის ბრიტანეთის ფეხბურთის სახელგანთქმული ვეტერანის — სტენლი მეტიუზის შვილი და მასთან ერთად—თანამოსახელეც. იგი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა და ამიტომ „მომავალი ჩემპიონის“ ტიტულით იქნა მონათლული.

ისიმოტოს აფიქრებს სავაჭროს მიტოვება

მსოფლიო რეკორდსმენი ცურვაში — იაპონელი ისიმოტო ერთ-ერთ პირველ ნომრადაა შეყვანილი ეროვნულ ნაკრებში რომის ოლიმპიური თამაშებისათვის, მაგრამ მან უარი განაცხადა რომში გამგზავრებაზე.

—მე ვითხოვე არ შევეყვანე ოლიმპიურ ნაკრებში, — განაცხადა ისიმოტომ, — არ შემიძლია თავი მივანებო სავაჭროს და კომერციას ისეთი ხანგრძლივი დროით, რომელსაც მოითხოვს ოლიმპიური თამაშები. მე ამას ვნანობ, მაგრამ არჩევანი არა მაქვს“.

ოთხჯერ კვირაში

დანიის ფეხბურთელები ევროპაში პირველნი იყვნენ, რომელთაც რომის ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ქვეჯგუფში მათ იოლად სძლიეს ნორვეგიელებსა და ისლანდიელებს. ამჟამად ისინი კვირაში ოთხჯერ გადიან წვრთნას, ემზადებიან ოლიმპიური ტურნირისათვის. გუნდის მწვრთნელია წარსულში ნაკრების თავდამსხმელი არნე სორენსენი.

ცნობილი გერმანელი მწვრთნელის ზეპ ჰერბერგერის აზრით, დანიელებმა, რომელთაც აქამდე ევროპაში სათვალავში არავინ აგდებდა, შეიძლება რომის ტურნირის ფავორიტებს დიდი უსიამოვნება შეამთხვიონ. მათი გუნდი შედგება ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელებისაგან. ევროპაში საკმაოდ ცნობილია დანიელთა შესანიშნავი ცენტრფორვარდი 23 წლის ენოკსენი. დიდი მომავლის ფორვარდად მიაჩნიათ 17 წლის ნილსენი, რომელსაც ენოკსენმა ცენტრთავდამსხმელის პოსტი დაუთმო ნაკრების ორ უკანასკნელ მატჩში. ნილსენმა ამ მატჩებში 4 ბურთი გაიტანა, რითაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ფეხბურთის ცნობილი პოლონელი სპეციალისტის გ. ალექსანდროვიჩის აზრით, მას დიდი თავდამსხმელის ყველა თვისება აქვს და თვალსაჩინო შენაძენია დანიელთათვის.



პროფესიონალი მოყვარულები

ამერიკელ ათჰიდელს ბ. მატიასს აეკრძალა რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, როგორც ტელე და კინომსახიობს. სპორტსმენმა ამის გამო პროტესტი განაცხადა, რომ მან არ იცოდა მისი სამსახიობო საქმიანობა თუ გამოიწვევდა პროფესიონალთა რიგებში ჩარიცხვას. ბ. მატიასმა აღნიშნა, რომ მას არასოდეს მიუღია ფული სპორტული საქმიანობიდან.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონის ტ. ზაილერის მიმართ, რომელსაც ფილმში მონაწილეობის გამო ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე აეკრძალა სამოყვარულო სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება.

ორივე სპორტსმენს ბრალად სდებენ სპორტში პოპულიარობის გამოყენებას კომერციული მიზნით.

საერთაშორისო ტურნირი იტალიაში

19 თებერვალს იტალიის ქალაქ ვიარეჯოში იწყება საინტერესო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ: „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია), „ვაშაში“ (უნგრეთი), „პარტიზანი“ (იუგოსლავია), „შიბენიკი“ (იუგოსლავია), „ლევსკი“ (ბულგარეთი), „ბორდო“ (საფრანგეთი), „მონაკო“ (საფრანგეთი) და იტალიის გუნდები „სამპდორია“ (გენუა), „ლაციო“ (რომი), „ფიორენტინა“ (ფლორენცია), „უდინეზე“ (ბერგამო), „გენუა“, „რომა“, „მილანი“, „ტურინი“ და „ბოლონია“.

შეჯიბრება მიმდინარეობს ოლიმპიური სისტემით ორ ნახევარფინალურ ჯგუფად. დასკვნითი მატჩები თებერვლის ბოლოს ჩატარდება.

უცხოეთის იუმორი



„სტადიონიდან“ (ჩეხოსლოვაკია).

რედაქტორი О. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორის — 3 89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.
უე 00944